



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ურთიერთობები თურქეთის ეთნიკურ კავკასიურ
ღიანსკორაში საქარისა და ქოჯაელის პროვინციებში

ალექსანდრა კვანახაძე

119

ექსპერტის აზარი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე კვანახაძე

ურთიერთობები თურქეთის ეთნიკურ კავკასიურ დიასპორაში
საქარისა და ქოჯაელის პროვინციებში

119

2019



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-1204-0

მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამ საფუძველი დაუდო კავკასიელი ხალხის მასობრივ გადასახლებას თურქეთში. ათასობით ქართველის, ჩრდილოეთ კავკასიელის, აფხაზისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების შთამომავლები, რომლებმაც თავიანთი სამშობლო საომარი მოქმედებების გამო დატოვეს, ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, სახელდობრ, თურქეთში, სირიაში, ერაყში, იორდანიაში და კოსოვოში. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით თურქეთში არსებული ქართველების, ლაზების, ჩერქეზებისა და აფხაზების დიასპორებს შორის ურთიერთობების მიმოხილვას.

2018 წლის ივლისში შესაძლებლობა მომეცა მემოგზაურა დასავლეთ თურქეთის პროვინციების – საქარიისა და ქოჯაელის – ქართულ, კავკასიურ, ლაზურ და აფხაზურ სოფლებში. მოვინახულე ქართული სოფლები გოლჯუქის სუბპროვინციაში (ნუზჰეთიე, ჰასანენინი, ჰამიდიე), ჩერქეზული სოფლები ქარამურსელის პროვინციაში, კავკასიური სოფლების ჯგუფი ქოჯაელის (მაშუქიე), საფანჯას (იანიქი, ქურთქოი, ისთანბულდერე, ქირქფინარი), საქარიის (მაქსუდიე, ქაილარეშითბეი, ალანჯუმა, ბოლაზქოი, ქიშლაჩაი, ბალბალი, ადლიე, ჩაიბაში, იქიზჯე, მალარა) და ჰენდეკის პროვინციებში (ჩაქალლიკი, უზუნჯაორმანი, ქარგალიჰანბაბა, იქრამიე და იქბალიე). ყველა ვიზიტისას ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები ადგილობრივი თემის ფართო სპექტრთან, ადგილობრივი ხელისუფლების, აქტივისტების, რელიგიური ლიდერების, ახალგაზრდებისა და უზუცესების ჩათვლით. რესპონდენტებს კითხვები დაესვათ დასახლების ისტორიის, ეკონომიკის, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის, ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტისა და თავიანთ ეთნიკურ კულტურაში ჩართულობის დონის შესახებ.

ქართველები – თურქეთში ქართული დიასპორა შეიძლება ორ ძირითად ტიპად დაიყოს. პირველ რიგშია ართვინის პროვინციის მკვიდრი მოსახლეობა. ისტორიულად, ქართულმა მოსახლეობამ ჭოროხისა და მტკვრის სათავეების მიმდებარე ტერიტორია დაიკავა. თუმცა, მიგრაციისა და ლინგვისტური ასიმილაციის შედეგად, ქართული ენის გავრცელების არეალი აღნიშნულ რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამჟამად ქართული დასახლებები არსებობს ართვინის შემდეგ სუბპროვინციებში (თურქ. İlçe): ბორჩქა, შავშათი, ართვინი, მურღული, იმერევი და იუსუფელი.¹ თურქეთში მცხოვრები ქართველების მეორე კატეგორია მოიცავს თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ართვინის პროვინციის ტერიტორიებიდან მიგრირებული ხალხის შთამომავლებს. აღნიშნული მი-

გრაფია 1877-1878 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუსული არმიის დანინაურებამ გამოიწვია.² ქართული დასახლებები არსებობს ბურსაში, ქოჯაელში, ორდუში, სამსუნში, დუზჯეში და თურქეთის სხვა პროვინციებში. გარდა ძველი მოსახლეებისა, ასევე შეინიშნება შედარებით ახალი, ეთნიკურად ქართველი ეკონომიკური მიგრანტები ართვინის პროვინციიდან, რომლებმაც დასავლეთ თურქეთის ინდუსტრიულად განვითარებულ რეგიონებში 1970-1980-იან წლებში გადაინაცვლეს. იქ ყველა ქართულ სოფელს არაოფიციალური ქართული სახელი აქვს, რომლებიც სათავეს ართვინსა და აჭარაში არსებული ძველი დასახლებებიდან იღებენ. მაგალითად: მურადიე (თოხვეთი), სერვეთიე (არხვა), იქრიმი (ქვემო ხათილა) და ა.შ.

ჩერქეზები – თურქეთში ჩერქეზული დიასპორა რუსულ-კავკასიური ომისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ჩერქეზების მასობრივი გადასახლების შედეგად განვითარდა. თურქეთში ყველა ჩერქეზული სუბეთნიკური ჯგუფია წარმოდგენილი. დასავლეთ თურქეთში (დუზჯე, ბურსა, სამსუნი, საქარია და სხვა) შაფსულები-სა და აბძახების დასახლებებია, ხოლო ყაბარდოელები თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში (ქაისერი, სივასი და ესქიშეჰირი) არიან კონცენტრირებული. ჩერქეზული სოფლების დიდი უმრავლესობა ტყით დაფარულ მთებში მდებარეობს, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში მათ ძველ სამოსახლოს ჰგავს. სუფიან ჟემუხოვის თანახმად, თურქეთში 897 ჩერქეზული სოფელია.³

ქართული დასახლებების მსგავსად, ჩერქეზულ სოფლებსაც აქვთ პარალელური სახელები. თუმცა, ქართული სოფლებისგან განსხვავებით, მათი სოფლები დამაარსებლების პატივსაცემად მათ სახელებს ატარებენ. მაგალითად, აიდინფინარი (შაგურ ჰაბლ), მაქსუდიე (თეთიყვა ჰაბლ), ქოფრუბაშომერეფენდი (ჰაჭემიჟ ჰაბლ). თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ჩერქეზების ზუსტი რაოდენობა უცნობია. როგორც ს. ჟემუხოვი მიიჩნევს, მათი რიცხვი 5 მილიონს აღწევს.⁴ 1965 წლის აღწერის თანახმად, ჩერქეზული ენა მშობლიურ ენად თურქეთის 58 339-მა მოქალაქემ დაასახელა, ხოლო 48 621-მა მეორე ენად მიუთითა.⁵ ჩერქეზული სოფლების რაოდენობისა და პოტენციური დემოგრაფიული ზრდის გათვალისწინებით, თურქეთში მცხოვრები ჩერქეზების რაოდენობა დაახლოებით ერთიდან ერთ-ნახევარ მილიონამდე უნდა მერყეობდეს.

აფხაზები – მე-19 საუკუნეში აფხაზები ოსმალეთის იმპერიაში ხუთ ტალღად გადაასახლეს: 1840-1841 წწ. – გენერალ მურავიოვის ექსპედიცია, 1853-56 წწ. – ყირიმის ომი, 1864 წ. – აფხაზეთის

აჯანყება, 1866 წ. – ლიხნის აჯანყება და 1877-1878 წწ. – რუსეთ-ოსმალეთის ომი. აფხაზებმა დატოვეს თანამედროვე აფხაზეთის, რუსეთის სოჭის რეგიონისა და ჩრდილოეთ კავკასიის (აშუვა და ტაპანტა აბაზინები) ტერიტორიები. თურქეთში არსებული ზოგიერთი აფხაზური სუბეთნიკური ჯგუფი, როგორცაა ფსჰუელები (სათავეს იღებს ფსხუს ხეობიდან), საძები/ასაძუა (თანამედროვე გაგრისა და სოჭის რეგიონებიდან), დალ-ნაბალელები (ზემო კოდორის ხეობიდან) და გუმელები/აგუმაა (თანამედროვე გულრიფშისა და სოხუმის რაიონებიდან), კავკასიის რეგიონში აღარ არის წარმოდგენილი. აფხაზური დასახლებების დიდი უმრავლესობა საქარიას პროვინციაში მდებარეობს. აფხაზური სოფლების მნიშვნელოვანი რაოდენობა დუზჯეს, სამსუნისა და ბურსას პროვინციებშიც გვხვდება. ქართული სოფლების მსგავსად, ზოგი აფხაზური დასახლების სახელი მისი წინა დასახლების სახელიდან მომდინარეობს. მაგალითად, როგორცაა გუვენი (მწარა) და ბალბალი (კალდახვარა). ზოგიერთი სოფელი კი მისი დამაარსებლის პატივსაცემად მის სახელს ატარებს, მაგალითად, ქაიალარეშითბეი (მაან რქითა) და სხვა.

თურქეთში მცხოვრები აფხაზების რაოდენობის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. 1965 წლის აღწერის თანახმად, აფხაზურ ენაზე მოლაპარაკეთა მთლიანი რაოდენობა 12 119-ს შეადგენდა.⁶ თავად აფხაზები მიიჩნევენ, რომ თურქეთში მილიონზე მეტი აფხაზი ცხოვრობს. თუმცა აფხაზ მკვლევარ ვიაჩესლავ ჩირიკბას შეგროვებული მონაცემების თანახმად, თურქეთში 228 აფხაზური სოფელია. მისი აზრით, თურქეთში აფხაზი მოსახლეობის რაოდენობა 200-დან 500 ათასამდე მერყეობს.⁷

ლაზები – ქართველების მსგავსად, თურქეთში მცხოვრები ლაზი მოსახლეობა შეიძლება დაიყოს მკვიდრად და არამკვიდრად. მკვიდრი ლაზი მოსახლეობა შავი ზღვის შორეულ აღმოსავლეთ სანაპიროზეა წარმოდგენილი. ლაზური დასახლებებია ართვინისა (ხოფასა და არჰავის სუბპროვინციები) და რიზეს პროვინციებში (ფინდლიკლისა და არდასენის სუბპროვინციები). არამკვიდრი ლაზური დასახლებები კი, საქარიას, ქოჯაელისა და დუზჯეს პროვინციებში გვხვდება. ლაზების აღნიშნულმა ჯგუფმა თავისი სამშობლო (ძირითადად თანამედროვე ბორქას რეგიონი) რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთის არმიის დაწინაურების შემდეგ დატოვა. ვინაიდან ეთნიკური ქართული და ლაზური ჯგუფები დასავლეთ პროვინციებში ერთად გადასახლდნენ, ლაზური დასახლებები უმეტესწილად ქართულ დასახლებების გვერდით არსებობენ.

საერთო პრობლემები

თურქეთში ყველა კავკასიური თემი ორი მთავარი გამოწვევის წინაშე დგას. პირველი არის ასიმილაციის პრობლემა – იუნესკოს თანახმად, თურქეთში ჩერქეზული, ლაზური და აფხაზური ენები არის მოწყვლადი და გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი ენები. უბიხური ენა კი უკვე გაქრა.⁸ 40 წელზე ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობას წინაპრების ენაზე კომუნიკაცია არ შეუძლია. უფროსი თაობაც კი, სადაც მშობლიური ენის ცოდნის დონე მაღალია, ერთმანეთში ლაპარაკისას თურქულ ენას ამჯობინებს.

მეორე პრობლემაა ურბანიზაცია. მაგალითად, სოფელ ნუ-ზჰეთიეში მოსწავლეთა არარსებობის გამო აღარ ფუნქციონირებს დაწყებითი და საშუალო სკოლები. დიდ ქალაქებში ახალგაზრდა თაობის მიგრაციის დონე საკმაოდ მაღალია. საქარიის და ქოჯაელის პროვინციებში ურბანიზაციის პროცესს კარგად განვითარებული სანარმოო ინდუსტრია და სტამბოლთან სიახლოვე აძლიერებს. მეორე მხრივ, აღნიშნული პროვინციების ინდუსტრიულმა ობიექტებმა შავი ზღვის რეგიონიდან ეკონომიკური მიგრაცია გამოიწვია. განსაკუთრებით ორდუს, რიზეს, სამსუნისა და ტრაპიზონის პროვინციებიდან. შავი ზღვის რეგიონის თურქები, რომლებიც ქარადენიზლის სახელით არიან ცნობილი, ბევრ ჩერქეზულ, ქართულ და აფხაზურ სოფელში დასახლდნენ. მაგალითად, წარსულში დეირმენდერეს (გაგრის) აფხაზებით დასახლებულ სოფელში ამჟამად ქარადენიზელი თურქები ცხოვრობენ, რადგან აფხაზებმა ეს სოფელი მიატოვეს და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში გადასახლდნენ. გარდა ამისა, დიდი ქალაქების გაფართოების შედეგად, ზოგიერთი კავკასიური სოფელი ამ ქალაქების ურბანულ მუნიციპალურ საზღვრებში მოექცა. მაგალითად, ქართული სოფელი შირინსულჰიე ქალაქ ქართეფეს შეუერთდა. ანალოგიურად, საფანჯას სუბპროვინციაში მიტოვებული ქართული სოფლის – ისტანბულდერეს ტერიტორია დეველოპერულმა კომპანიებმა შეისყიდეს და ძვირადღირებული საცხოვრებელი და ტურისტული ობიექტები ააშენეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი კავკასიური სოფელი საკუთარი იდენტობის დაცვას ცდილობს. მაგალითად, აფხაზურ სოფელ ბალბალის მოსახლეობა საკუთარ ქონებას უცხოებზე არ ყიდის.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები – ისტორიულად, თურქეთში ქართველებსა და აფხაზებს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. ბევრ დასახლებაში აფხაზები და ქართველები ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ. სოფელ მამუქიეს მეჩეთის იმამის თანახმად, ქართველები და აფხაზები პარასკევის ღამეს

ვას ერთად ლოცულობენ და მშვიდობით თანაცხოვრობენ.⁹ ქართველებისა და აფხაზების მჭიდრო ურთიერთობა კიდევ ერთმა აფხაზმა შემდეგნაირად განმარტა:

აქ აფხაზებს, ქართველებს, ლაზებს და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შესანიშნავი ურთიერთობები აქვთ. აქაური ქართველები საქართველოში მცხოვრებ ქართველებს არ გვანან, ისინი აჭარელი ქართველები არიან. ისინი მუსლიმები არიან ისევე, როგორც აფხაზი მიგრანტი მუსლიმები. ისლამის გამო მათ ახლო ურთიერთობა აქვთ. მათი წესები და ტრადიციები მსგავსია. მათ შორის დაპირისპირება არასდროს ყოფილა. მსგავსი ტრადიციების გამო ხშირია შერეული ქორწინებებიც.¹⁰

აფხაზებსა და ქართველებს შორის ქორწინება ხშირია. თუმცა, ერთმა ქართველმა რესპონდენტმა შირინსულჰიედან აღნიშნა, რომ „ჩვენ [ქართველებს] მათი [აფხაზების] ქალები მოგვყავს, მაგრამ ჩვენი გოგოები იშვიათად ქორწინდებიან აფხაზ კაცებზე, რადგან მათი ტრადიციები და ეტიკეტი ძალიან რთულია“.¹¹ აფხაზები და ქართველები ერთად მუშაობენ ფერმებსა და ქარხნებში. აფხაზურ სოფელ ჩაქალლიქიში სტუმრობისას რამდენიმე ქართველი აღმოვაჩინეთ, ვინც აფხაზურად სრულყოფილად ლაპარაკობდა. ქართველი რესპონდენტებიც ახსენებენ კარგ მეზობლურ ურთიერთობას. თუმცა, ჰენდეკის სუბპროვინციის რამდენიმე მოსახლემ ისაუბრა თურქეთში ჩამოსვლიდან პირველი წლების განმავლობაში არსებულ სირთულეებზე. როგორც ერთმა ქართველმა ინფორმატორმა თქვა, „იმ დროს, ისინი [აფხაზები] ყაჩაღობით იყვნენ დაკავებული. ისინი ჩვენს ხალხს გზაზე ძარცვავდნენ. მაგრამ ახლა ჩვენ მათთან პრობლემა არ გვაქვს, კარგი ურთიერთობები გვაქვს“.¹²

სოფლების მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, აფხაზურ დიასპორულ ორგანიზაციებს საქართველოს მიმართ მტრული პოზიცია აქვთ. ყველაზე დიდი აფხაზური ორგანიზაცია – აფხაზური ორგანიზაციების ფედერაცია (თურქ. Abkhaz Dernekler Federasyonu) სეპარატისტულ აფხაზეთში არსებულ ნარატივს მიჰყვება. მეტიც, აფხაზური ორგანიზაციები აქტიურად ლობირებენ აფხაზეთის აღიარების საკითხს და თურქეთსა და სეპარატისტულ რეგიონს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას. ორგანიზაციები არც საქართველოს ხელისუფლებასთან და არც სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის არიან გახსნილი. ისინი საქართველოს არაღიარების პოლიტიკით არიან უკმაყოფილო. ამგვარი

განწყობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც თურქეთში სხვადასხვა ფესტივალსა თუ წვეულებაზე არალიარებული აფხაზეთის დროშის დაკიდების უფლება არ მისცეს. აფხაზური ორგანიზაციები 1992-1993 წლებშიც აქტიურობდნენ, აფხაზეთის კონფლიქტში თურქეთის მხრიდან მოხალისეთა მობილიზაციის მიზნით.

მართალია, აფხაზურ სოფლებში ქართველების მიმართ მტრული დამოკიდებულება არ აქვთ, მაგრამ ისინი აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიქვამენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მხარს უჭერენ შერიგებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენას. ზოგი ჩვენი რესპონდენტი ან მათი ნათესავები ნამყოფი არიან საქართველოში (ძირითადად ბათუმში), ტურისტულად ან საქმით. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა საერთო ქართულ-აფხაზური ეკონომიკური პროექტების აუცილებლობას, როგორცაა, მაგალითად, ენგურის ჰიდროელექტროსადგური.¹³ მეორე მხრივ, მათი ქართველი მეზობლები ძირითადად არ ფლობენ ინფორმაციას აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობის, დინამიკის შესახებ. ქართველები უმეტესწილად თავს არიდებენ აფხაზებთან აფხაზეთის კონფლიქტზე საუბარს.

ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობები – ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მსგავსად, თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და ჩერქეზებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ. მაგალითად, ჩერქეზული (უბიჰური) სოფლების – იანიკისა და ქირქფინარის მოსახლეობა და საფანჯას პროვინციის ქართულ სოფლ ქურთქოის მკვიდრნი ერთ კაფეში ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ჩერქეზული სოფლების მოსახლეობა საკმაოდ დადებითად არის განწყობილი ქართველების მიმართ. ერთმა რესპონდენტმა მაქსუდიედან აღნიშნა კიდევ, რომ აუცილებელია აფხაზებისა და ქართველების შერიგება.¹⁴

ჩერქეზული დიასპორული ორგანიზაციები უპრობლემოდ ურთიერთობენ ქართველ კოლეგებთან. 2009 წლიდან ჩერქეზული დიასპორული ორგანიზაციების მრავალი ლიდერი და აქტივისტი ეწვია საქართველოს. გარდა ამისა, მაქსუდიემი ჩერქეზულ ეთნოლოგიურ მუზეუმში ვიზიტისას თბილისის ჩერქეზული კულტურის ცენტრის მიერ დამზადებული რამდენიმე ნივთიც აღმოვაჩინეთ. თუმცა, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შეზღუდული ცოდნა აქვთ ჩერქეზების შესახებ.¹⁵ რამდენიმე რესპონდენტმა ჩერქეზები და აფხაზები ერთმანეთისგან ვერც კი გაარჩია.

აფხაზურ-ჩერქეზული ურთიერთობები – აფხაზებსა და ჩერქეზებს განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვთ, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ორი ძირითადი ფაქტორით. პირველი, ისინი

კავკასიიდან ერთი და იმავე დეპორტაციის დროს გადაასახლეს. მეორე, ზოგმა აფხაზმა თავისი სამშობლო ჩერქეზებთან ერთად დატოვა. ცნობილია, რომ აფხაზური ტომები, როგორებიცაა საძი, ახჭიფსი და დალ-ნაბალი, მეფის რუსეთის ჯარებს ჩერქეზებთან ერთად ებრძოდნენ.

1990-იან წლებამდე თურქეთში მცხოვრები აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები ჩერქეზების სახელით იყვნენ ცნობილი, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა, მათ შორის აფხაზებმა და ჩერქეზებმა, ჩერქეზული ექსონომისგან გამოყოფა დაიწყეს.

უბიხების იდენტიფიკაცია თურქეთში მცხოვრებ ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის დავის საგანია. ისტორიულად, უბიხები სოჭსა და მდინარე ვორდანეს შორის ცხოვრობდნენ.¹⁶ ყველა უბიხი ოსმალეთის იმპერიაში დეპორტირდა. უბიხებს საკმაოდ ბუნდოვანი იდენტიფიკაცია აქვთ. უბიხთა უმეტესობას საკუთარი თავი ჩერქეზად ჰყავს იდენტიფიცირებული, მაგრამ არა – ადიღედ.¹⁷ იმ უბიხებმა, რომლებიც აფხაზებთან განსაკუთრებით ახლოს დასახლდნენ, ასიმილაცია განიცადეს და საკუთარი თავი აფხაზებად (აფსუა) ჰყავთ იდენტიფიცირებული. მაგალითად, სოფელ იანიქში უბიხური ლაკ გვარის წარმომადგენლებმა თავიანთი ავთენტური გვარები აფხაზურ გვარებად შეიცვალეს – ლაკრბა/ლაკირბა. ანალოგიურად, ის უბიხები, რომლებიც ჩერქეზებთან (ძირითადად შაფსულ) ახლოს დასახლდნენ, მათთან ასიმილირდნენ და ჩერქეზული ენის შაფსულურ დიალექტზე ლაპარაკობენ.

აბაზებმა ჩერქეზებთან (ძირითადად ყაბარდოელებთან) ასიმილაცია განიცადეს. მაგალითად, ჩერქეზულ-აბაზურ შერეულ სოფელ ქარგალიჰანბაბაში, რომელიც აბაზმა ჰანიფმა დააარსა, აბაზები ჩერქეზულად ლაპარაკობენ და საკუთარ თავს ადიღეებად მოიაზრებენ.

ქართულ-ლაზური ურთიერთობები – მიუხედავად იმისა, რომ ლაზები ქართულთან მონათესავე და მეგრულთან ძალიან ახლო მდგომ ენაზე ლაპარაკობენ, თავს ქართველებად არ მიიჩნევენ. თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და ლაზებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. ქართულ სოფლებში მცხოვრებმა ზოგმა ლაზმა ასიმილაცია განიცადა და ახლა ქართულად ლაპარაკობს. საქარიისა და ქოჯაელის რეგიონებში ლაზური ორგანიზაციები არ არის. თუმცა, იზმიტის ქართული ორგანიზაცია ლაზების ჩართვას ცდილობს და ორგანიზაციას “Kocaeli Karvel Kafkas Kültür Merkezi” (ქოჯაელის ქართველური კავკასიური კულტურული ცენტრი) დაარქვეს.

დასკვნა

ქოჯაელისა და საქარიის პროვინციებში სავსებით მოგზაურობამ აჩვენა, რომ მიუხედავად კავკასიაში არსებული არეულობისა, კავკასიელ ხალხებს შორის ურთიერთობა მჭიდროა და მყარი საფუძველი აქვს. თუმცა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებიც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს. თურქეთში არსებული კავკასიური თემები საინტერესო და ამავედროულად კავკასიური კულტურის გამოუკვლევია სეგმენტია. საბჭოთა კავშირის დროს არსებული რკინის ფარდა არ აძლევდა ქართველ მკვლევრებს ამ რეგიონების მონახულების საშუალებას. სწრაფმა ასიმილაციამ და ურბანიზაციამ შესაძლოა ბევრი დიალექტი, ნეს-ჩვეულება თუ სოციალური მოდელი გააქროს. ქოჯაელსა და საქარიის პროვინციების კავკასიური დასახლებები თურქეთში წარმოდგენილი კავკასიის მხოლოდ მცირე ასპექტია და ეს საკითხები შემდგომ სამეცნიერო კვლევას საჭიროებს.

დანართი: ქოჯაელისა და საქარიის პროვინციებში არსებული კავკასიური დასახლებები

1. ქოჯაელის პროვინცია

- 1.1 **გიოლჯუკის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ფერჰადიე, ჰამიდიე (ბორჩხა), ჰასანინი, იჯადიე (ბელიქი, საბეგო), ირშადიე, ლუთფიე, მამურიე (მურკვიეთი), მესრურიე, ნიმეთიე (უზნაძეები), ნუზჰეთიე (დოშემე), სირეთიე, შევკეთიე (საჩმალი), ავაზფინარი.
- 1.2 **ქართეფეს სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ბალაბანი, შირინსულჰიე, ნუსრეთიე. აფხაზური დასახლებები: ბუიუქდერბენტოი, ჰიქმეთიე.
- 1.3 **ქარამურსელის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: აქფინარი. ჩერქეზული დასახლებები: ფევზიე, ქარადერე, მაჰმუდიე (ქარაფინარი), ორენჯიკი (ჰამიდიე), სელიმიე (აივალიჯა), თე-ვეფიკიე (ჩავუშქოი).
- 1.4 **იზმიითის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ემმეაჰამიდიე, სულთანიე, ულუპინარი, უზუნთარლა, ქეთენჯე (ჰაკურინე ჰაბლ), მაშუქიე.
- 1.5 **ქანდირას სუბპროვინცია** – ჩერქეზული დასახლებები: ქარაალაჩი, აქთოფრაქი.

2. საქაროის პროვინცია

- 2.1 **აქიაზის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ბელდები, რეშადი, შერეფი, ქუზულუქი. ჩერქეზული დასახლებები: ჩინარდები (შჰაბე ჰაბლ). აფხაზური დასახლებები: ბათაქეი, ბედილ ქადირბეი, ბედილ ქაზანა, ბეინევი (იენიქონაქ), ბიჩიქდერე, ბულდაილი, ჰარმანლი, ჰასანბეი, ქაზანჯი, ქიზილჯიქორმანი, ქუზულუქ, მესუდიე (თაჰირბეი), ფაზარქეი, სალიჰლი, თექთაბანლი, იენიორმანქეი, ოსმანშევექეთი, იოგანილიქ.
- 2.2 **გეივეს სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: შერეფი, ილიმბეი, ნურიოსმანიე, ბოაზქო (შერეული ქართულ-აფხაზურ ჩერქეზული სოფელი, შაჰანბეი, ჩიუვა რითა), ქიშლაჩაი.
- 2.3 **ჰენდექის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ბალიქლი (იჰსანიე, ქართლა), გულდები (გეველი), ჰიჯრიე (ორჯი), ჰუსეინშეიჰ, იქბალიე (ავანა, სითმაფინარი), ილიმბეი, ქარაჩოქექი, ლუთფიექოშქი, მურადიე (თოხვეთი), ქიზანლიქი, სერვეთიე (არხვა), ჰამითლი (ჯინგანბინარ), ნურიე, იქრამიე (ქვემო ხათილა), გუნდოლან (ზემო ხათილა), თექელე (სულეიმანიე), ქარგალიენიქი (ურცმელი). ჩერქეზული დასახლებები: ქარჰალიჰანბაბა (ჰან ჰაბლ). აფხაზური დასახლებები: აქთეფექი, ბეიქოი, ბეილიჯე, ჩაქალიქი, ესქიბიჩქი, ჰუსეინშეიჰი, ქალაიქი, ქარაჩოქექი, სოოუქსუ, ქარადერე, ორთაქეი, სარიერი, სივირთეფე, უზუნჯაორმანი, იარიჯა, მელენი.
- 2.4 **ქოჯაალის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: ქოიერი, ქოზლუქ (გურჯუ ფაჰრიე), დემირაჩმა.
- 2.5 **ქარაფურჩექის სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: მეჯიდიე, აჰმედიე, ქანლიჩაი, ჰოჯაქოი.
- 2.6 **საპანჯას სუბპროვინცია** – ქართული დასახლებები: მაჰმუდიე, ჰაჯიმერჯან, აქჩაი, მურადიე, იქრამიე, ისტანბულდერე, ნაილიე, ილიმიე. ჩერქეზული დასახლებები: იანიქი, ქარქფინარი (შადიე), სარილიქი.
- 2.7 **ცენტრალური სუბპროვინცია** – ჩერქეზული დასახლებები: ადლიე, არანჯა (იქადიე, მიშე ჰაბლ), ადლიე, ალანჯუმა (ბიზილი ჰაბლ), ჩაიბაში (ფუადიე), იქიზჯე, ქემალიე (შირიხუ ჰაბლ), ქურუდილი (ფენითხუქ), მალარა, მაქსუდიე (თეთიქო ჰაბლ), სალიჰიე (დაგე ჰაბლ).
- 2.8 **ქარასუს სუბპროვინცია** – აფხაზური დასახლებები: სინანოღლუ, ადათეფე, ქაფერიე მელენ, ქარაფინარ, აჯილემაქ.

შენიშვნები

1. Gürcü Köyleri ve Mahaleleri [ქართული სოფლები და უბნები], ხელმისაწვდომია: www.gdd.org.tr/koydetay.asp?id=35 (ნანახია 06.02.2019).
2. შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882), თბ., 1964.
3. S. Zhemukhov (2012). *The Birth of Modern Circassian Nationalism*. Nationalities Paper. 40 (4), გვ. 505
4. იქვე.
5. H. Kloss and G. McConnel. Linguistic Composition of the Nations of the World, vol. 5, Europe and USSR, Québec, Presses de l'Université Laval, 1984
6. H. Kloss and G. McConnel. Linguistic Composition of the Nations of the World, vol. 5, Europe and USSR, Québec, Presses de l'Université Laval, 1984
7. V. Chirikba. "Rasseleniye Abkhazov v Turtsii" [„აფხაზთა დასახლებები თურქეთში“], *Djigetskiy Sbornik: Voprosy Etno-Kulturnoy Istorii Zapadnoy Abkhazii* [ჯიქეტის კრებული: დასავლეთ აფხაზეთის ისტორიის ეთნოკულტურული საკითხები], 2012, გვ. 22
8. UNESCO: Atlas of the World's Languages in Danger. [xelmisawvdomia: www.unesco.org/languages-atlas/index.php?hl=en&page=atlasmap](http://xelmisawvdomia.org/languages-atlas/index.php?hl=en&page=atlasmap) (ნანახია 06.02.2019).
9. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N1-თან. მაშუქიე, ქოჯაელი, თურქეთი. ჩანერილია 08.07.2018.
10. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N2-თან. შიქმეთიე, ქოჯაელი, თურქეთი. ჩანერილია 09.07.2018.
11. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N3-თან. შირინსულჰიე, ქოჯაელი, თურქეთი. ჩანერილია 09.07.2018.
12. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N4-თან. ჩაქალიქი, ქოჯაელი, თურქეთი. ჩანერილია 24.07.2018.
13. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N2-თან. შიქმეთიე, ქოჯაელი, თურქეთი. ჩანერილია 09.07.2018.
14. კვლევითი ინტერვიუ რესპონდენტ N5-თან. მაქსუდიე, საქარია, თურქეთი. ჩანერილია 19.07.2018.
- 15.
16. L.I. Lavrov (2009). *Ubykhi* [უბიხები]. გვ. 21
17. ადილე – ჩერქეზთა თვითსახელწოდება.